



ტელეკომპანია პოსტ TV-ის მიერ  
TV პირველზე გასული  
ჟურნალისტური გამოძიების  
თაობაზე  
პასუხი მოთხოვნილი  
დოკუმენტებით

10 ივნისი, 2020

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ამოცანა არ არის ჩავერთოთ ვიწრო პარტიული ინტერესებისა და დავალებების გარკვევა-განხილვაში, რომელიც პოსტ TV-ის ეთერიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დამაჯერებელი და ავტორიტეტულია ჩვენთვის ამათუიშ ტელევიზიის მიერ მომზადებული საინფორმაციო შეტევები, თავს ვალდებულად ვთვლით მათი მაყურებლის წინაშე ნათელი გაგხადოთ ფაქტები, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი და რომელზეც ორგანიზაცია სამოქალაქო იდეას თავმჯდომარე საუბრობს სიუჟეტში. იმედს ვიტოვებთ, სიმართლის მიებაში მყოფი ტელევიზია პოსტ TV სათანადოდ გააშუქებს ჩვენს მიმართვას.

აქვე, ინტერესის არსებობის შემთხვევაში, ვთავაზობთ თანამშრომლობას, ვინაიდან შემდეგი კვირების განმავლობაში, სამოქალაქო იდეა კიდევ ძალიან ბევრ ამბავს ახდის ფარდას იმ ჩინური კომპანიების შესახებ, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ და მუდმივად თავის მართლება რომ არ მოუწიოთ მზად ვართ ყველა დოკუმენტი გავუზიაროთ.

თქვენ დოკუმენტებს ითხოვთ.

არავითარი პრობლემა. არ მიფიქრია რომ ჟურნალისტური გამოძიება საპროკურორო დასკვნა უნდა ყოფილიყო, თუმცა ყველა სიტყვა, რომელსაც ჩვენ ვამბობთ ამ სიუჟეტში და როგორც დაგპირდით, კიდევ ძალიან ბევრს ვიტყვით შემდეგი თვეების განმავლობაში, იმ ჩინური კომპანიების შესახებ რომელთან პარტნიორობაც საქართველოს მთავრობამ და საპარტნიორო ფონდმა აირჩია, ყოველი სიტყვა ფაქტებით არის გამყარებული.

მაშ ასე,

1. ერთადერთი სიმართლე, რომელიც პოსტ ტივის სიუჟეტშია არის ის, რომ პირველი ხელშეკრულება სინოჰიდროსთან ქართული ოცნების მოვლამდე დაიდო და აქ პოსტ TV მართალია. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს ქართული ოცნების შესაბამის თანამდებობის პირებს არავითარი პასუხისმგებლობისგან.

2. პოსტ TV-ის პირველი ტყუილი: ჩვენ არსად არ გვითქვამს, რომ საქართველოს მთავრობა ვინმემ 37 მილიონით დააჯარიმა. ასეთი ბრალდება TV პირველის სიუჟეტში არ არსებობს.

სიუჟეტში საუბარია იმაზე, რომ სინოჰიდროს მიერ ინიცირებული დავა მიმდინარეობს და შესაბამისად, არსებობს ალბათობა, დიდი ჯარიმა დაგვაკისრონ. თავად სიუჟეტის ავტორიც ადასტურებს ამას და შესაბამისად, სრულიად გაუგებარია ტას დაობს პოსტ TV, ტყუილი სად არის? კიდევ ერთხელ, ტვ პირველის სიუჟეტში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ მიმდინარეობს დავა და პოსტ ტივის სიუჟეტშიც ეს დადასტურებულია.

3. პოსტ TV-ის მეორე ტყუილი, თავად სინოჰიდროს შესახებ:

| OTHER SANCTIONS IMPOSED IN FY16         |             |                             |                      |
|-----------------------------------------|-------------|-----------------------------|----------------------|
| Entity Name/Individual                  | Country     | Sanction Imposed            | Grounds              |
| 1. M/s. GVR Infra Projects Ltd.         | India       | Private Letter of Reprimand | Fraudulent Practice  |
| 2. Pöyry Switzerland Ltd.               | Switzerland | Letter of Reprimand         | Fraudulent Practices |
| 3. <b>Sinohydro Corporation Limited</b> | China       | Letter of Reprimand         | Fraudulent Practices |

ANNUAL UPDATE INTEGRITY VICE PRESIDENCY (INT) 37

- a. სინოჰიდროს რა თქმა უნდა საპატიო ადგილი აქვს სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დოკუმენტებსა და **შავ სიებში**. ამის დასტურად იხილეთ მსოფლიო ბანკის ოფიციალური დოკუმენტი <http://documents.worldbank.org/curated/en/330521476191334505/pdf/INT-FY16-Annual-Update-10062016.pdf>, აფრიკის განვითარების ბანკის მიერ სინოჰიდროს გაშვების შესახებ იხილეთ აქ <https://www.herald.co.zw/afdb-blacklists-sinohydro/> ასევე წაიკითხეთ აქ <https://business.inquirer.net/217467/chinese-company-banned-by-world-bank-bags-ph-infrastructure-project>. ეს დოკუმენტები და კიდევ ასობით სტატია საერთაშორისო მედიაში ვინმეს რომ წაეკითხა დღეს სხვა ვითარება გვექნებოდა გზების პროექტზეც და დანახარჯებზეც.

/ BUSINESS

## AfDB blacklists Sinohydro

20 JUN, 2017 - 00:06 4 COMMENTS 2 IMAGES



PRESS RELEASE | JUNE 5, 2019

## World Bank Group Debars China Railway Construction Corporation Ltd. and two subsidiaries

WASHINGTON, June 5, 2019 — The World Bank today announced the nine-month debarment of China Railway Construction Corporation Ltd. (CRCC), a Chinese, state-owned construction and engineering company, and its wholly-owned subsidiaries, China Railway 23<sup>rd</sup> Bureau Group Co., Ltd. (CR23) and China Railway Construction Corporation (International) Limited (CRCC International), in connection with misconduct under the East-West Highway Corridor Improvement Project in Georgia.

სხვათაშორის, ის არ არის ერთადერთი ჩინური კომპანია, რომელსაც საქართველოში გზების კონტრაქტები აქვს და შავ სიაში ყავს მსოფლიო ბანკს. ასევე იხილეთ შესაბამისი მასალა 23-ე ბიუროს შესახებ - <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2019/06/05/world-bank-group-debars-china-railway-construction-corporation-ltd-and-two-subsidiaries>

- b. პოსტ TV რომ იტყუება ეს მინისტრი ცქიტშივილის განცხადებებითაც <https://droa.ge/?p=31748> დასტურდება და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის ბატონი სეთურიძის ინტერვიუთიც <https://www.versia.ge/2013-07-31-11-22-56/item/5577-რატომ-გადადგა-საავტომობილო-გზების-დეპარტამენტის-უფროსი>, რომელებიც სულაც არ უარყოფენ არც შავი სიის ფაქტს და არც პრობლემებს. უბრალოდ არ მოქმედებენ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სამწუხაროა, რომ ამხელა რესურსების მქონე ტელევიზიამ და ამასობაში ჟურნალისტმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს რომ ტყუილში გვამხილა ვერ მოაგნო იმას, რასაც ზუსტად 4 წამი სჭირდება ნორმალური სიჩქარის ინტერნეტის პირობებში.

4. თანამდებობის პირები, რომელთა ინტერესებზეც ვსაუბრობთ სიუჟეტში.
  - a. პირველი, სიუჟეტში საუბარია „ჩინური კომპანიები რომლებიც საქართველოში მუშაობენ“ და არა მხოლოდ სინოჰიდროზე.
  - b. თავად სინოჰიდროში რომ გზების დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები და სატენდერო კომისიის წევრები გადავიდნენ სამუშაოდ, ამას ზემოთ ნახსენებ ინტერვიუში ბატონი სეთურიძეც ადასტურებს. ამის შესახებ დამატებით ინფორმაცია იხილეთ აქაც, <https://ipress.ge/new/gza-romelits-tadzramde-ar-migviqhvans-sagzao-proeqtebis-shavi-khvrelebi-zhurnalisturi-gamodzieba/>
  - c. ღარიბაშვილთან დაკავშირებით საუბარია კომპანია CEFC-ზე და სიუჟეტში დასახელებულია სწორედ ეს კომპანია. ჩვენ ვამბობთ რომ პრემიერობიდან წასული ღარიბაშვილი დაინიშნა კომპანიაში, იხილეთ

აქ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-chinetis-konglomeratis-cefc-regionuli-proeqtebis-martvis-kompaniis-sametvalyureo-sabchos-mrchevlad-dainishna/> რომელიც მსოფლიოში ერთერთ ყველაზე დიდ თაღლითად არის გამოცხადებული.

BUSINESS NEWS MARCH 1, 2018 / 7:37 AM / 2 YEARS AGO

## China's CEFC chairman investigated for suspected economic crimes: source

Benjamin Kang Lim


5 MIN READ



BEIJING (Reuters) - The chairman of China's CEFC China Energy, the private firm that has agreed to buy a nearly \$9.1 billion stake in Russian oil major Rosneft, has been investigated for suspected economic crimes, a person with direct knowledge of the matter said.



იხილეთ აქ, <https://www.reuters.com/article/us-rosneft-cefc/chinas-cefc-investigation-hits-9-billion-russian-oil-deal-idUSKBN1GY1VO> ამაში თავად დარწმუნდებით, ბუნებრივია თუ დაინტერესდებით. CEFC-ის დანაშაულებრივი საქმიანობა დოკუმენტურად დადასტურებული და დეტალურად აღწერილი გვაქვს ჩვენს წინა კვლევაში და იხილეთ აქ <https://sinopsis.cz/en/georgias-china-dream-cefcs-last-stand-in-the-caucasus/>



< 3336

ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის კონგლომერატის CEFC-ის რეგიონული პროექტების მართვის კომპანიის

## ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის კონგლომერატის CEFC-ის რეგიონული პროექტების მართვის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მრჩევლად დაინიშნა

17:14, 12.02.2018



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის კონგლომერატი CEFC Energy Company Limited-ის რეგიონული პროექტების მართვის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მრჩევლად დაინიშნა.

კომპანია რეგიონში CEFC-ის ინვესტიციების მართვას განახორციელებს.

ჩინეთის კონგლომერატი CEFC Energy Company Limited-ი ენერგეტიკის, საფინანსო და ინდუსტრიის სხვადასხვა სფეროში აქტიურად საქმიანობს.

კომპანიის ინტერესების სფეროს ასევე წარმოადგენს ფასიანი ქაღალდები, აქტივების მართვა და ტრანსპორტული ტერმინალების მშენებლობა.

- d. ძალიან სიღრმეებში რომ არ წავიდეთ, კორუფციის ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული განმარტება უპირატესობის მინიჭებაა. შესაბამისად, ბატონ ჩხარტიშვილზე საუბრისას სრულიად საკმარისია საქართველოს მთავრობის გვერდებზე განთავსებული ოფიციალურ ფოტო მასალას გადავხედოთ და მიუკერძოებელი ადამიანისთვის ყველაფერი ნათელი გახდა პრიორიტეტულ წვდომაზე, უპირატესობის მინიჭებასა და სპეციალური სტატუსით აღჭურვაზე. ერთად დალაგებული და აღწეროილი იხილეთ აქ, <https://www.facebook.com/notes/tinatin-khidasheli/ჩინეთის-დახურულ-ბიზნეს-ჩემპიონატში-ჩხარტიშვილი-ლიდერობს/10155599392110988/>
- e. რაც შეეხება ბატონ საგანელიძეს, ის „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორია და იმავდროულად, 2016 წლიდან ჩინური კომპანია Huahe International-ის მიწვეული მრჩეველ-კონსულტანტია. ამ ფაქტს საპარტნიორო ფონდშიც ადასტურებენ, რაც ასევე შეუძლია გადაამოწმოს პოსტ TV-მ.

კიდევ ერთხელ მივმართავთ ნებისმიერ ტელევიზიას, რომ ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში online ძიებასა და კვლევებში დახმარებისთვისაც და კითხვების არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ მოგვმართონ. განსაკუთრებით პოსტ TV-ის ერთ-ერთ წამყვანთან ჩვენი ორგანიზაციის თავმჯდომარეს მრავალწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება აქვს და სხვა ტელევიზიებში წლების განმავლობაში მის მიერ გაკეთებული ჟურნალისტური გამოძიების სიუჟეტები სწორედ ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ მოძიებულ და დოკუმენტურად დადასტურებულ მასალებს ემყარებოდა ხოლმე.

ჩვენ დღესაც ისე ვმუშაობთ, როგორც წლების მანძილზე:

- ყველა სიტყვის უკან მტკიცებულება დგას;
- ღია ვართ მედიასთან თანამშრომლობისთვის.

NEWS
OPINION
SPORTS
LIFESTYLE
ENTERTAINMENT
BUSINESS
TECHNOLOGY
GLOBAL NATION

**Grow Your Business in Korea**

Startups from all countries who are interested in expanding business

HEADLINES

## Chinese company banned by World Bank bags PH infrastructure project

By: Nikko Dizon - Reporter / @NikkoDizonINQ Philippine Daily Inquirer / 02:03 AM October 26, 2016

EDITORS' PICK

**BUSINESS**

The US Mega Millions Is Offering a jackpot Prize of \$410 million This Tuesday Night